

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

09 აგვისტო 2021 წ.

## ბრძანება №01-08/38

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობისა და შიდა  
მობილობის ვაკანტური ადგილებისა და მობილობის საუნივერსიტეტო  
კომისიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების (დანართი №1) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2021 წლის 04 აგვისტოს № 1.1/63 ბრძანების, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ხელოვნების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-4 და მე-4<sup>1</sup> მუხლებისა და ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 27 მაისის № 04-01/28 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. განისაზღვროს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობისა და შიდა მობილობის ვადები:

- პროცედურული ვადები:

- დოკუმენტაციის მიღება - 03 სექტემბრიდან - 10 სექტემბრის ჩათვლით;

- უნივერსიტეტში გადმოსვლის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის და სტატუსშეჩერებული პირის სტატუსის აღდგენის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება - 15 სექტემბერი;

- ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში ელექტრონულად ასახვა - 15 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით.

2. მობილობისა და შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია დადგენილ ვადებში შესაბამისი განცხადებით მიმართოს სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს და წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება (განცხადება ივსება ადგილზე);

- სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი.

3. სამემსრულებლო მიმართულებით, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის მსურველთათვის შემოქმედებითი ტური ჩატარდეს 2021 წლის 14 სექტემბერს 12.00 საათზე, თეორიული მიმართულებით გამოცდა ჩატარდეს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის მე-4 მუხლის 11-ე პუნქტის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის საუნივერსიტეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ქეთევან ვაჩივილი - კომისიის თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ხარჩილავა - კომისიის წევრი, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

მამუკა ჯორბენაძე - კომისიის წევრი, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;

თამაზ ცერიაშვილი - კომისიის წევრი, მუსიკის ფაკულტეტის დეკანი;

ერმილე მესხია - კომისიის წევრი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ნატო ცქვიტინიძე - კომისიის წევრი, რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილების უფროსი.

5. დაევალოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს სტუდენტთა გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვისათვის შესაბამისი დასკვნების მომზადება და საუნივერსიტეტო კომისიაში წარდგენა არაუგვიანეს 2021 წლის 14 სექტემბრისა.

6. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება.

7. დაევალოს ა. მუხაშაზრის ამ ბრძანებისა და მობილობის წესის ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, პროფესორი**

**მ. ჭიჭილეიშვილი**